საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს საპენსიო ფონდის მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარის

დადგენილება №02

2025 წლის 7 მაისი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (საკანონმდებლო მაცნე, გამოქვეყნების თარიღი: 12/07/2024, სარეგისტრაციო კოდი 280060000.05.001.102317) მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, მმართველობითი საბჭოს 2025 წლის 6 მაისის №5 სხდომის ოქმის საფუძველზე, მმართველობითი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 17 თებერვლის №001 ბრძანება „დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის, საპენსიო შენატანების და ამ შენატანებთან დაკავშირებული საინვესტიციო ან/და სხვა შემოსავლის დაბრუნებისა და ხელახლა გაწევრიანების წესის დამტკიცების შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი 21/02/2023, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016014).;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 30 ივლისის №002 ბრძანება „საპენსიო შენატანების გადახდის წესების, ინფორმაციის წარდგენის ფორმების, ზედმეტად გადახდილი თანხების ადმინისტრირების, ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე საპენსიო შენატანების, ხარჯის, ნამეტი შემოსავლის, დანაკარგის, სხვა შემოსავლის, ამონაგებისა და ზარალის დარიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი 31/07/2019, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016002);

გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №011 ბრძანება “პენსიის და საპენსიო აქტივების დანიშვნა-გაცემის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი 28/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016024);

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2023 წლის 25 დეკემბრის №012 ბრძანება „დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საინვესტიციო პორტფელის არჩევის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი 28/12/2023, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.73.085.016025);

ე) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საპენსიო სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 11 ნოემბრის №015 ბრძანება „საპენსიო შენატანის განხორციელების ვალდებულების დარღვევის და საპენსიო შენატანის ზედმეტად განხორციელების ფაქტის იდენტიფიცირების, წერილობითი ან/და ელექტრონული გაფრთხილების, ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის თანხის დაბრუნების, ჯარიმის დაკისრების და აღსრულების წესის“ დამტკიცების შესახებ” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), გამოქვეყნების თარიღი 12/11/2024, სარეგისტრაციო კოდი: 280030000.73.085.016028).

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ საპენსიო ფონდის
მმართველობითი საბჭოს
თავმჯდომარე

გრიგორი მორჩილაძე